



სიმინდის მავნებელ-დაავადებებისა და
სარეველებისაგან დაცვა აპრილი-მაისის თვეებში

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი
ცენტრი

2020

მიმდინარე წელს, კლიმატური ფაქტორების გამო, დასავლეთ და აღმოსავლეთ
საქართველოში სიმინდის კულტურის ფენოლოგიური ფაზები ემთხვევა ერთმანეთს

აპრილის დასაწყისი

დახვნა

ნიადაგური მოქმედების ჰერბიციდების შეტანა ერთწლიანი მარცვლოვანი და ორლებნიანი, ასევე
მრავალწლიანი სარეველების წინააღმდეგ: ალკანსე (პენდიმეტალინი+ კლომაზოლი)-2,5 ლ/ჰა, ან
ამეტრინი (პრომეტრინი)-2-3,5 ლ/ჰა, ან იკანოსი (პრომეტრინი)-1-1,5 ლ/ჰა, ან გოლიაფი (2,4 დ მჟავას
მარილი 350 გ/ლ + დიკამბას დიმეთილამინის მარილი 125 გ/ლ)-1,2-1,5 ლ/ჰა.

აპრილის შუა რიცხვები

თესვის წინა პერიოდი

თესლის შეწამვლა მავნებლების წინააღმდეგ (ბუგრები, მავთულა ჭიები, მარცვლეულის ბუზი,
სამხრეთის რუხი ცხვირგრძელა, მავთულა ჭიები, დასავლეთის სიმინდის ხოჭო, ტკაცუნები, ღრაჭები):

ნუპრიდი ან სიდოპრიდი (იმიდაკლოპრიდი)-4,5-5 ლ/ტ თესლზე; სამუშაო ხსნარის ხარჯ.ნორმა - 10
ლ წყალი/ტ თესლზე, ან პონჩო (კლოთიანიდინი)-4 ლ/ტ თესლზე, ან ეფდალ იმიდრიდი
(იმიდაკლოპრიდი)-7,5-10 ლ/ტ თესლზე, ან გორტკა (იმიდაკლოპრიდი)-6 ლ/ტ თესლზე, ან რეზიუმე
(იმიდაკლოპრიდი)-5კგ/ტ თესლზე +

თესლის შეწამვლა დაავადებების წინააღმდეგ (მაგარი და მტვრიანა გუდაფშუტები, ფესვის ყელის
სიდამპლეები, ფუზარიოზები, სეპტორიოზი, ბადისებური და ზოლებიანი ლაქიანობები, პითიუმი,
ალტერნარიოზი): ინშურ პერფორმი (პირაკლოსტრობინი+ტრინიკონაზოლი)-0,5 ლ/ტ
თესლზე,სამუშაო ხსნარის ხარჯ.ნორმა - 10 ლ წყალი/ტ თესლზე; ან ეფდალ დინექსი
(დინიკონაზოლი)-2 კგ/ტ თესლზე; ან სონფიქსი (დინიკონაზოლი)-2 კგ/ტ თესლზე;

15 აპრილიდან 30 მაისამდე

თესვა

ინსექტიციდების შეტანა ნიადაგის მავნებლების კომპლექსის წინააღმდეგ: ფორსი (ტეფლოტრინი) - 10-15 კგ/ჰა - ნიადაგში შეტანა (მწკრივებში) თესვასთან ერთად, ან რეგენტი (ფიპრონილი) - 5 კგ/ჰა - ნიადაგზე გაფანტვა თესვის დროს.

მაისის ბოლო-ივნისის დასაწყისი

ვეგეტირებული სარეველების 2-3 ფოთლის ფაზა - ერთწლიანი, მრავალწლიანი, მარცვლოვანი და ორლებნიანი სარეველები (მინდვრის მდოგვი, მწყერფეხა, მხოხავი ჭანგა, ბოლოკა, შვრიუკა, ავშანფოთლიანი ამბროზია, მწარა, ძურწა, ღიჭა, ბურჩხა, შალაფა, ჯიჯლაყა, ცერცველა და სხვა)-
შესხურება ჰერბიციდებით: ვიდეიჯერი (რიმსულფურონი)-50 გ/ჰა+250 მლ/ჰა “აგროპოლი 8020” (მიმწებებელი), ან **პაიამინი** (2,4 დ მჟავა დიმეთილამინის მარილი) - 2-2,5 ლ/ჰა, ან **სანსტეპი** (ნიკოსულფურონი-2-2,5 ლ/ჰა, ან **აისი 642** (რიმსულფურონი + დიკამბა)-310-385 გ/ჰა, ან **გავან ექსტრა** (ნიკოსულფურონი), ან **ელუმისი** (მეზოტრიონი+ნიკოსულფურონი)-1-2 ლ/ჰა, ან **აგენტი** (2,4 დ მჟავას რთული 2-ეთილ-ჰექსილის ეთერი+ფლორასულამი)-0,4-0,6 ლ/ჰა, ან **2,4 დ დიმეთილამინის მარილი** (2,4 დ დიმეთილამინის მარილი 720 გ/ლ მჟავაზე გადაანგარიშებით 600 გ/ლ)-0,8-1,2 ლ/ჰა,
სამუშაო ხსნარის ხარჯ.ნორმა- 200 ლ/ჰა

შენიშვნა: რეკომენდაციაში მოცემული პესტიციდები რეგისტრირებულია საქართველოში. შესაძლებელია მისი კორექტირება, ასევე პრეპარატების ჩანაცვლება სპეციალისტებთან შეთანხმებით კლიმატური პირობების, ზონალობის, პესტიციდების ასორტიმენტისა და გამოყენების რეგლამენტების გათვალისწინებით.

სამუშაო ხსნარის მომზადება:

ჩატარებული წამლობის ეფექტურობისათვის საჭიროა სამუშაო ხსნარის კონცენტრაციის ზუსტი განსაზღვრა: **სამუშაო ხსნარის კონცენტრაცია არის პრეპარატის ხარჯვის ნორმა (1 ჰა-ზე) გამრავლებული 100-ზე და გაყოფილი სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმაზე (1 ჰა-ზე).**

